



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030267527706913

№ 02-405/ა

28 / მარტი / 2013 წ.

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიების გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (მუხლი 6; მუხლი 8; მუხლი 10) და „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (დანართი N1) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს შპს „გორმედზე“ (ფაქტიური მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N14ა) - ა) „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია“; ბ) „პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია“; გ) „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია“.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144) ან სასამართლოში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: 1) შპს „გორმედის“ გენერალური დირექტორის გ. სვანაძის განცხადებები:
N15857 14.02.2013წ. N17208 18.02.2013წ.
2) ადგილზე შემოწმების აქტი N23 25.03.2013წ.
3) ზეპირი მოსმენის ოქმი N4 27.03.2013წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე